



სამსაბათი
8
ნომერი
№ 114 (10567)
ფასი 5 კაბ.

ქ. ჯუგადიდისა და ჯუგადიდის რაიონის პრეზიუმისა და საკრებულოს ორგანო

მათხველთა რეაგირება

ისევ სიყვარულმა უნდა გაგვაერთიანოს

სექტემბრის თვის განმავლობაში თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად დაგვიანა ის მანკიერი ცხოვრების წესი, რაც დაამყარა საქართველოში ერთპარტიულმა კომუნისტურმა რეჟიმმა. ბრძანებულურად აღმინისტრაციულმა სისტემამ სხვა უბედურებებთან ერთად ქართველი კაცი გატეხა სულიერად, გადააჩვია ზნეობრივი ნორმების, ტრადიციული ქართული ღირსების დონეზე ცხოვრებას. ცენტრი ყოველანაირად ცდილობდა იმპერიული ცნობიერების დანერგვას ადამიანებში, მათ გათიშვას და გაითიშოკებვას, რათა ერთგული შეგნების დონე არ ამოღებულყო.

პოლიტიკური მოვლენების სწორად შეფასება, აღმინათა გარკვეული კატეგორია კი იმდენად დასწავლენებელია ძველი იდეოლოგიური დოგმებით, რომ ახალი რეალობების მიმართ ადეკვატური რეაგირება უჭირს. ახიან ისეთებიც, რომლებიც ძველი მმართველობის დროს პრივილეგირებულ პირობებში იყვნენ ჩაყვებულნი და ყოველივე ამის დაკარგვას ავადყოფურად განიცდიან. და აი, სწორედ ასეთ პირთა აღიარება მოამზადა ფსიქოლოგიურად სექტემბრის პეტრი საქართველოში. სწორედ მათ, განაწყენებულმა აღმინათებმა გამოუცხადეს დემოკრატიზაცია ახლანდელ კანონიერ ხელისუფლებას და შექმნეს დესტაბილიზაცია რესპუბლიკაში.

აღაც მიგვაჩნია. დროთა განმავლობაში მოლიანად უნდა დიდი ილოს ძველი სტრუქტურების ინერცია და ფართოდ უნდა გავხსნას გზა ეკონომიკის ლიბერალიზაციის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა დემოკრატიზაციის კერსს, ამ მხრივ ოპოზიციური პარტიების ძალისხმევაში ნამდვილად იყო კონსტრუქციული მომენტები. მაგრამ ყოველად მიუღებელად გახლდათ მათ მიერ არაკონსტიტუციური მეთოდების მოხმობა პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად. მით უფრო შეიარაღებულ, არაკანონიერ ფორმირებებთან აღიან.

ერთგულ - გამანათვისებელ-ბელმა მოძრაობამ ერის ამაღლებარ მთვლემარე მდგომარეობას ცეცხლი შეუთო, პოლიტიკური თვითცნობიერების დონემაც გარკვეულწილად აიწია. მაგრამ ჭერ კიდევ ვხვდებით მოქალაქეთა არცთუ ისე მცირერიცხოვან ნაწილს, რომელსაც უჭირს

ჩვენ შორს ვართ საქართველოს პრეზიდენტის და ერთგული პარლამენტის მოღვაწეობის ერთსახა, ცალმხრივი აღქმისაგან. პირიქით, ბევრი რამ მართვლობით სისტემაში მიუღებ-

ბ. ალანია.

ღია წერილი ბატონ ჯანსულ ჩარკვიანს

(გაზეთ „განათლების“ 26 სექტემბრის ნომერიდან დაბეჭდილი წერილის გამო)

ბატონო ჯანსულ! გულდასმით წაგიკითხე გაზეთ „განათლების“ 26 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი თქვენი წერილი — „მე მიჩვენია კონსტანტინეს საქართველო“. გულწრფელად უნდა ვითხაროთ, რომ მე გამოცა თქვენი წერილის ტონმა. ძალზე განაწყენებული ხართ იმის გამო, რომ ვიღაც „არამკითხე“ თბილისელ პედაგოგს რცხილაძეს მოუთხოვია, თქვენი ლექსების ამოღება სახელმძღვანელოდან.

თქვენ წერთ: „თუ გამოვიდა ვინმე რცხილაძე, ის ვინმეა ჩემთვის, რადგან არ ვიცი მისი ღვაწლი, შეიძლება დაუფასებელია, მაგრამ მე არ ვიცი ასეთ პიროვნებას დამსახურების მიხედვით, გამოვიდა და თბილისის ერთ ერთი სკოლის პედაგოგთა სახელით მოუწოდა ხალხს ჯანსულ ჩარკვიანის ლექსები სასკოლო პროგრამიდან ამოვიღოთ. ეს არის თუ არა დამტკიცება იმისა, რომ საქართველოში არის დიქტატურა? რა რცხილაძისა და ერთი სკოლის პედაგოგთა (?) საქმეა ჩემი ლექსების ამოღება? რცხილაძეს და იმ პედაგოგებს არ შეუტანიათ პროგრამაში ჩემი ლექსები. ვინც შეიტანა სასკოლო პროგრამაში ისევ იმან უნდა გამოიტანოს“.

ბატონო ჯანსულ! ძალიან უსუსური არგუმენტი ხომ არ გაქვთ მოტანილი საქართველოში დიქტატურის არსებობის დასამტკიცებლად. ან იქნებ ფიქრობთ, რომ თქვენი ლექსების პროგრამიდან ამოღებით დიდად დაზარალდება სასკოლო სახელმძღვანელოები და მოსწავლეებს დიდი სულიერი საზრდო მოაკლდებათ.

როგორ ფიქრობთ კაცმა რომ თავისი მოსაზრება პრესის მეშვეობით გამოთქვას აუცილებლად ჩინ მედლები და დამსახურებაა საჭირო? რატომ არ შეიძლება რიგით პედაგოგს, მუშას, ან თუ გნებავთ გლეხს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრება ჰქონდეს და იგი მკითხველს გაუზიაროს. ვინ და როდის აკრძალა ამისი უფლება.

თქვენ როცა ამ წერილს წერდით ერთგულ მაინც რატომ არ დაეკითხეთ საკუთარ თავს, რამდენად ლოგიკურია თქვენი კატეგორიული მოთხოვნები ხალხის ნებით არჩეული პრეზიდენტის ბატონი ზვიად გამსახურდიას გადადგომის შესახებ. თუ თქვენი ლექსების სასკოლო პროგრამიდან ამოღების საკითხის დაყენების გამო ძრახავთ პედაგოგ რცხილაძეს, თქვენ ერთი მუქა ოპოზიციონერები რა უფლებით ითხოვთ მილიონობით ამომრჩევლის მიერ არჩეული პრეზიდენტის გადადგომას? თუ გიფიქრიათ ამაზე ბატონო ჯანსულ?

საკრებულოს
პრეზიუმი
განათლების
კომისია

სამოქალაქო ომში არავინ იქნება გამარჯვებული

ლაკონურად გამოთქმულ ამ რამდენიმე სიტყვაში სამოქალაქო ომის არსის სრული შეფასება მოცემული. სამხანევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ავადმოსაგონარ ბაზალეთის ომიდან. მაგრამ ჩვენი ერის ისტორიის მკვლევართა დიდი მცდელობის მიუხედავად, ბაზალეთის ომი მძიმე ტვირთად აწევს ორ დაპირისპირებულ მხარეს, ვინ გაიმარჯვა ამ ომში ეს სულაც არ არის არსებითი. ქართველმა ქართველის სისხლი დაღვარა, რომელ გამარჯვებაზე შეიძლება საუბარი.

დღეს ყოველ ნაბიჯზე გვემის შემზარავი სიტყვები: საქართველო იღუპება, სამოქალაქო ომის ზღურბლზე ვართო, რომელ ზღურბლზეა ლაპარაკი, როცა სამოქალაქო ომი ფაქტურად უკვე დაიწყო. ძმამ ძმაზე ხელი აღმართა, ხმალი გააშინვლა და სისხლი დაღვარა, რამინისკნელობა აქვს იმას ქართველი ქართველს ქვებს დაუქნეს ღებ ბომბებს, ავტომატის ჭერს

მიუხედავად თუ წაქცეულს წიხლებს ჩასცხებს და კბილებს ჩაუმტრევეს. სამწუხარო ის არის რომ ძმამ ძმა გაიმეტა სასიკვდილოდ.

თავი მოგვაქვს მდიდარი ისტორიული წარსულით და ქედმაღლურად ვაცხადებთ მაღალი კულტურის მატარებელი ერთ ვართო. სწორი ბრძანებაა. „ვეფხისტყაოსნის“ შემომქმედ ერს ნამდვილად ბევრი გვაქვს თავშესაწონი. მაგრამ შეგვეყენის ის რაც დღეს საქართველოში ხდება. ბაზალეთის ისტორია მეორდება.

ხშირად გაიკონებოთ, ის რაც დღეს საქართველოში ხდება კრემლის მიერ არის ინსპირირებული და ამ საქმეში მესამე ძალის ხელი ურევიაო. სწორად ბრძანებს ვინც ასე ფიქრობს, მაგრამ თუ კი ვიცით, რამ დაგვინბო გონება, ერთ მუშტად რატომ არ შევიკვრებით. დღეს საქართველოს გათიშულობა კი არა ერთიანობა სჭირდება.

უნდა დავგმოთ ძალადობა,

სისხლისღვრა, ანარქია და ძალმომრეობა, მხარი დავუპირით კანონისა და კონსტიტუციის უზენაესობას, ყველა სადაო საკითხის პოლიტიკური დაალოგინა და პარლამენტური გზით გადაჭრას. დაპირისპირებული მხარეები „დაუყოვნებლივ უნდა შერიგდნენ. ასეთია დღეს საქართველოს ბედნიერი მომავლის მოსურნე ყველა ქართველის და არაქართველის მოთხოვნა. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს იმ მიმართვას, რომელიც ნ ოქტომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ მიიღო საქართველოს მშრომელებისადმი, ამ აზრით და ამ სულისკვეთებით გაემგზავრა ამ დღეებში ჯუგადიდელი ახალგაზრდების დიდი ჯგუფი დედაქალაქში მშვიდობიან მიტინგში მონაწილეობის შესაღებად.

გვინდა ვირწმუნოთ რომ ახლო მომავალში ბოლო მოეღება ამათა შორის გათიშულობას და მალე ვიხილავთ ერთიან მძლავრ საქართველოს.

დმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი ძვირფასო მეგობრებო.

ქ. ჯუგადიდისა და ჯუგადიდის რაიონის პრეზიუმისა და საკრებულოს ორგანოს
ქ. ჯუგადიდისა და ჯუგადიდის რაიონის პრეზიუმისა და საკრებულოს ორგანოს
და საკრებულოები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა გვარდიის ოფიცერი ნუზუარ ვლადიმერის ძე შანაპა და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნ. ვ. შანაპას დასაძლავი კომისიის
შეიქმნა ნუზუარ ვლადიმერის ძე შანაპას დასაძლავი კომისია ზ. კიტას (თავმჯდომარე), ა. გაგნიძის, ი. ქობალიას, გ. ებრაელიძის, მ. დვინჯილის, ტ. გულუას, ა. სანაიას შემადგენლობით.

ორი თარგა, ორი კოზიცი

სრულიად ახლებური კონცეფციით

ახალი იმედებით, პერსპექტივის გრძობით ვიწყებთ ახალ სასწავლო წელს. ყოველი ჩემი კოლეგა კრიტიკული თვლით და საღი გონებით აკვირდება მიმდინარე რეალიებს და გადაჭრით აქცევს ზურგს სკოლებში წლიობით გაბატონებულ ავტორიტარულ სტილს. დღეს, როცა ქართული სკოლის მოღვაწეობა მყარად ეფუძნება ახალ ეროვნულ კონცეფციას, ყოველმა ჩვენგანმა ბევრი რამ უნდა გადაფასოს საკუთარ თავში. დღევანდელ საქართველოს ბაერით სპირა.

მშობლებმა და მასწავლებლებმა ერთად, ხელიხელჩაკიდებულბა, სათანადო ტაქტის მონაზობით უნდა შევძლოთ მოზარდების სწორი გზით ტარება. საბოლოოდ უნდა დაიძლიოს სწავლებაში ძალდატანების პრინციპი. ფართო გზა მივცეთ პროფილირებულ სწავლებას. მოზარდი უნდა დაეწაფოს იმ საგანს, რისკენაც ბუნებრივ მიდრეკილებას ამუღავნებს. დროა, ყველამ ღრმად გავითავისოთ ეს კონცეფცია, რომ ხვალინდელ საქართველოს სპირდება არა ატენტატივის და დიპლომების სიმრავლე, არამედ ნებისმიერი დარგის, ხელობის ნამდვილი

პროფესიონალები. ეკონომიკის ლიბერალიზაციის, საბაზრო ეკონომიკის ეპოქა უღმობელი იქნება ყველა იმათ მიმართ, ვინც დღემდე ნაჩვევი იოლი გზებით, პროტექციით ცდილობდა ფონს გასვლას.

თქვენ, უპირველეს ყოვლისა, თქვენ გიპყრიათ ხელთ ახალი თაობის სული და სხეული, ძვარუასო კლდეებო. გიპყრიათ საოცრად ნეკლი მასალა, რამელშიც უკვე ამთავითვე მოცემულია ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქის უხაუთუხი ულორტები.

მოვუაროთ, გავუფრთხილოთ ამ ულორტებს. დ. გეითა, აკ. წერეთლის სახელობის ქალაქის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი.

როგორ მომენატრეთ

გვეუბიარეთ შთაბეჭდილებები ნაწახზე და განცილებზე. მართალია, ჩვენ მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებში აქტიურად არ ვერვით, წინააღმდეგი ვართ ზედმეტი პოლიტიზირებისა. მაგრამ საკუთარი პოზიცია დიხაც გაგვიჩნია. ჩემი თაობა მტკივნეულად განიცდის ქართველი ხალხის გარკვეული ფენების ურთიერთ დაპირისპირებას. არა, ბაზალეთი არ უნდა განმეორდეს. ღრმად მჯერა, რომ ქართველ ხალხს არ უღალატებს ისტორიული გონი და იპოვის ამ ურთულესი სიტუაციიდან თავის დაღწევის გზებს. საბოლოოდ ქართველ კაცში შოთას, გაყავს

ილიას გენი იყვლებს და ძმათა შორის ურთიერთსიყვარული და თანაღმობა დაისადგურებს. ახლა კი, ამ წუთებში თანაკლებთან, საყვარელ მასწავლებლებთან შეხვედრის ყრუანტელი მივლის. ვიმედოვნებ, წლებადელი სასწავლო სეზონი გაცილებით უფრო ახლებური და საინტერესო იქნება. ჩვენ, უცილოდ ავითვისებთ ცოდნის იმ მარაგს, რაც დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე კეთილსაგზლად გავგვყავა. ლელი კანტარია, შერაბ კოსტავას სახელობის ქალაქის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე.

საქმე ამბიხებს...

ურთის სახედიდან მომხიბლავად გამოიყურება კოლხური სისადავით გამორჩეული სოფელი ინგირი. იგი ლამაზია არა მხოლოდ კონტასანახებით, არამედ აქ დაფრთხიანებული შრომისმოყვარე, ენერგიული, კეთილშობილი ადამიანებითაც. თინა და ნექტარ ხასიების ოჯახიც მათ რიცხვში შედის. მათ ავიც ბევრი უნახავთ და კარგიც. სიძნელეები არ დაკლებით, მაგრამ ქედი არასოდეს მოუხრიათ. დაბრკოლებებს შეუპოვრად შებმიან და შეილებიც სახელოვნად აღუზრითათ. თოქცა ღრმად დაღუღლავმა შრომამ თმაც შეუფერცხლათ, მხრებიც მოხარათ, მაგრამ მათ გულს ოღნავადაც არ მოჰკლებია უკეთესი მომავლის იმედი, პირიქით, მუღამ ჰკუთსავითხავი და საიმედო ადამიანების ავალტოვებენ.

ულმა თავისი ადგილი იპოვა: უფროსი ლინა სამტრედიამოცხოვრობს და სამი შვილის დედაა, ნოდარი გორის ერთ-ერთი სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, მავალა-თელავში დამკვიდრდა, ორ შვილს ჰარდის, მზია ზგრონომ-დეკორატორია, თამაზიც აგრონომია. და-მა ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში მუშაობენ, ციქრი-მკერაკა, ქუთაისში ცხოვრობს, ინება - ინგირის სასაქმამბულატორიაშია, მერაბი თამბირში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დაკორილი ხელებით გამორჩეულბებს ყველაზე მთავარი ანხცავებთ თანასოფლელებისგან: მათ რვა შვილი გაზარდეს. ყველამ მშობლებისაგან გავალულ სუფთა გზაზე გაიარა. თითოე-

ლირსეულს ქალი და დედაა ქალბატონი თინა. თავის ლექსში სამართლიანად მოუწოდებს კიდევ ქართველ დედებს: "შვილებს ვუზრდიდეთ სამშობლოს ქალებო! ჩენი ვალია, იცოდეთ, ამას მოითხოვს აწმყო და მომავალია". ჭეშმარიტად ღირსეული ქართველები არიან თინა და ნექტარ ხასიები, რასაც მათი საკმე ამტკიცებს. ბ. თოდუას

სასიმღერო...

როცა გლოვის ზარი ჩავლილია, როცა თვით სიზმარიც გათხოვს, ერთად სიმღერა ადვილია, ძნელია სიმღერა მარტო. როცა გარუყვები ბილიკს კენტად, ხეთა სურნელბა გათრობს, ერთად ცხოვრება ადვილია, ძნელია ცხოვრება მარტო. როცა ცრემლი უხმობს ცრემლს რუმად, ღარდს მაინც ვერავის ანდონ,

ერთად გალობა ადვილია, ძნელია გალობა მარტო. როცა მონატრების უამი დეგობა, რაღაც მიუწველომელს ნატრბ, ერთად ტირილიც ადვილია, ძნელია ტირილი მარტო. უღელი მაინც უღელია, შიშიმედ მიიწევ და დარდობ, ერთად გატანა ადვილია, ძნელია გატანა მარტო.

ჩემს ძმებს

მეგობარ გავმუხენდი მარტოსულონით, არ შეგვიადლოთ ანე იულო, რომ არ გქონდათ გული ნაგულბს, გაუყრეზოდა სულწაც სნეული. და-მზობის მადლმა მუღამ დაგიცვათ ვგი თგაღისგან, შვარე სეტყვისგან, თითქმის გამოცხცა ძალიან გვიან ოხლის კვერი და... ნათლი გავდიარსა, ერთად ვვაქცია სიტკბო-სიმწარემ, საბნად გვებურა ერთი ფოთოლი და მადლიანმა კეთილმა ზეცამ შეგვაშრო თვალზე ცრემლი ოხოლი...

თანა მღვენ თქვენი კეთილი ლანდო, ლინაში თუ ჭირში, დარში, ავღარში, არ მიშატოვით სულ გვერდით მყავდით. რა მიშველიდა ქვეყნად არ ვიცო, რომ არ გცოდნოდათ და-მზობის მადლი, რომ არ გავგუეო ის თხილის გული, ის მწუხარებაც, ცრემლები და-მზის, უფსკრულბს პირას ვიდექ მარტოცა, არცრა გყზინდა ოცნების მტერი, გადაგაურებთ სიკეთის კალთას, სიკეთისათვის მადალი ღმერთი.

ვიგინ თარგს შეიმაბა

გულწრფელი სტრიქონები

ქლახან გამომცემლობა "მეჭა მჭია" გამოსცა პოეტ მიმოზა ცხანავის ლექსთა კრებული "თვალთა უბეში ჩამდგარი ცრემლი". ავტორისგან დართულ მოწვევა ანოტაციაში წერია: "ბაბტრია გოგო ვიყავი, როცა ჩემში დაბადა პირველი გულწრფელი ლექსი, მერე კი... ისინი ჩემთან ერთად იზრდებოდნენ, ჩემთან ერთად იზარებდნენ იმ დიდ სულდერ თუ ფიჭოკურ ტკივილებს, რომელიც კრავრთხელ განმიცდია, მაგრამ სიყვარულის ძალით დამითრგუნავენ იგინ. ეს სიყვარული მაწერინებდა. ამ სიყვარულის გამოძახილია ეს კრებული". ამ სიტყვებით პოეტმა ყველაფერი თქვა: რაც მის ადამიანურ, პოეტურ-ეთიკურ შტრიხებს ეხება. წარმოუდგენელია პოეტი, რომელიც თავისი ცხოვრებით არ ცხოვრობს და უკეთესი მერმისისთვის არ ფიქრობს და იღწვის. როდესაც კრებულს გეცნობით, ვრწმუნდებით, რომ ზემოთ თქმული სრულად გამოხატავს კრებულის იდეურ პათოსს. მხატვრული ღირსებები და ემოციური ზემოქმედების ძალა კი თვით მკითხველმა უნდა შეგრძნოს და განსჯოს.

მიმოზა ცხანავს ლექსთა კრებულსობა თავისებური პოეტური მიზნატრებია, რომლებშიც ავტორი გვიჩვენებს საკუთარ და მოკიდებულბას ცხოვრებისუღე მოგლენებთან, ავღენს თავის შოხიციას. ქართულ სულში გაღვივებული რწმენა, "ქართულ მიწაზე ქართული ნანას პანჯის" და "სტრკარა ცინ უმწიკლო სიყვარული", — აი, რაც აწერინებს პოეტს გულწრფელად. აკი ამბობს კიდევ: "შენს სიყვარულში, მამულო ჩემო, იზრდებთან წრფელი ლექსები...". ლექსები სატრფოზე, დედაზე, ძმებმა და შვილებე ყურადღებას იქცევენ მათდამი კდემამობილი დამოკიდებულბით, ნაზი ღირსებით და ერთგულბით. პოეტი მოკრძალებით იგონებს აწგანვებულ მეუღლეს, პოეტს არჩილ ფირცხალავას. "მკერდგადილი ლოთის ხამობით, სახეშეცვლილი სვანური ქულით, მუღამ რადაცი მამიებელმა, ცალი უღლით და დანგრეულ ბუღით", —

წერს იგი. "მუღამდღე სიყვარულით ვიყავი გარემოცული, — სიყვარულით მშობელი მიწის, შვილის, მშობლის, სატრფონის და-მზის, მოკეთის, სიცოცხლის, ყოველივე მშენიერის" — ამბობს პოეტი. ეს სიყვარული განსუენს მის ლექსებსაც. პოეტი აღი შეგბას მათ სკოლებში მოკლებს, ანდობს უთქმელ ტკივილთა სიმძიმეს. მიმოზა ცხანავს ემოქმედებით კრდოს ალბათ მშენიერად ურგება ლექსე "ლექსების თურმე..." "ლექსებიც თურმე იბადებან, ჩვილი ბავშვივით იღამენ ენას, ლექსებიც თურმე სულიერივით შალიან ხშირად კარგავენ რწმენას, ლექსებიც თურმე ეძებენ ტოლებს... ლექსებიც თურმე ეძებენ ლექსებს, გულზე გვაყრიათ იებს, გვადიობებს, ლექსებიც თურმე სულიერივით, უმკლავებიან უთქმელ ტკივილებს". ჭინდლავნებთ, ქართული პოეზიის მოყვარულბი სიამოვნებით წაიკითხავენ პოეტ მიმოზას ცხანავს ლექსთა კრებულს. ხსნალთა უბეში ჩამდგარი ცრემლი.

მეჭა მჭია

ქალაქის ცენტრში მდებარე №1 ოპტიკურ სახელოსნოში მუდამ ხალხმრავლობაა. მხედველობა დაქვეითებულ თუ სათვალის შევითების მსურველ ადამიანებს აქ მოუხარიათ, რადგან იციან, რომ მასპინძელი — თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტი ვალერი კეკელია ყველაფერს გააკეთებს კლიენტთა სურვილის

დასაკმაყოფილებლად. იგი 87 წელიწადია ერთგულად ემსახურება ადამიანთა ჯანმრთელობის, კერძოდ, მხედველობის სიჭანსადის სათუთ საქმეს. ოქროსწინებია ისტატი გულისხმობია ყველას მიმართ და ამიტომაც ზუგდიდელთა მადლობას და სიყვარულს იმსახურებს.

ბ. შამუგია, შრომის ვეტერანი.

ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. ორი ხელჯობის დაყრდნობით ძლიერ ვეღამ ფეხებს. ამას წინათ ავტობუსით ზუგდიდს გაემგზავრე სათვალის შესაძენად. ცენტრალურ ავტოსადგურთან მდებარე ოპტიკის ჯიხური დაკეტილი დამხვდა. იმავე წუთში თაღარიგი დავიჭირე უკან დაბრუნებაზე და ხელჯობის დაყრდნობით დიდ ხეს ზურგით მივეყუდი, ვტყდინდი, როდის წავიდოდა ავტობუსი ჩხოროწყუს მიმართულებით.

ჩემთან მოვიდა ვიღაც ახმახი, თვალებს ახრიალებდა, სახეს მანქანა... კოსტუმის ღილები გამიხსნა, უბის წიგნაკი ამომატა და შორს გადასიროლა. ამას თურმე ხედავდა ერთი ახალგაზრდა, რომელმაც აცნობა მილიციის საგუშაგოს. მილიციის მუშაკებმა ტაქსი გაწერეს და რენდოკო ქაბუამ დააკავეს ბოროტი ხელგანი და მილიციის საგუშაგოში

წაიყვანეს. იგი გალიდან ზუგდიდში „სავასტროლოდ“ ჩამოსული პირი აღმოჩნდა. უბის წიგნაკი დამიბრუნეს. მინდა გამოჩენილი გულისხმიერებისათვის მადლობა ეუთხრა მილიციის ზემოთდასახელებულ მუშაკებს. ბარასი ქაბუკია, პერსონალური პენსიონერი, დაბა ჩხოროწყუ.

გიწვევთ უმაღლეს კოლეჯში

გორის ეკონომიკურ-მედიცინური უმაღლესი კოლეჯი უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომიკური და მედიცინური პროფილის პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე: საფინანსო-საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი; სამრეწველო წარმოების მენეჯერი; სასოფლო-სამეურნეო წარმოების მენეჯერი (ფერმერი); კომერციული საქმიანობის მენეჯერი; ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია. დაწყებითი განათლების პედაგოგია და მეთოდოლოგია.

თოდ იქნება გამოყენებული კავშირები ჩვენი და სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან. ლექციებს წაიკითხავენ სათანადო დარგების ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები. კოლეჯში სწავლება ქართულ ენაზეა. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. სწავლა ფასიანია. თითოეულ კურსზე სწავლის ხარჯსურია 7000 მანეთი.

კოლეჯის სტუდენტი შეუძლია გახდეს საშუალო და საშუალო სპეციალური (უმაღლესი) განათლების შქონე საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნების ყველა მოქალაქე, ვისაც შეუძლია ქართულად სწავლა, წლიურად მიუხედავად ვინც წარმატებით გაივლის გასაუბრებას (ტესტების საშუალებით) და კოლეჯის მმართველთა საბუღალთოს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (პირადად წარმომადგენლის ან გამომგზავნი ორგანიზაციის მეშვეობით) სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში გადაიხდის სწავლების პირველი წლის ღირებულებას. სწავლების ღირებულების გადახდა ხდება კოლეჯის ანგარიშზე უნაღლო ანგარიშსწორების გზით. კოლეჯის ფრიადოსან სტუდენტს მიეცემა სტაჟენდია.

მენეჯერების სწავლება და მომზადება აიკვება საბაზრო მეურნეობის მართვისა და ფუნქციონირების თეორიისა და პრაქტიკის შესწავლაზე, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებისა და მათი სხვადასხვა დარგების მიღწევათა გაცნობაზე, მენეჯერებისათვის საჭირო ჩვევების ჩამოყალიბებაზე. სწავლება ძირითადად დაეფუძნება გერმანიის (საარ.ბრიტუენის) უმაღლეს სასწავლებლებში მენეჯერთა კადრების მომზადების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს.

სწავლებისას ფართოდ იქნება გამოყენებული სტუდენტთა უშუალო მონაწილეობა საბაზრო მეურნეობების პრინციპებით მოქმედ ისეთ ერთეულებში, როგორცაა კერძო ბანკი, კერძო აუდიტორიული ფირმა, კერძო საწარმო, კერძო ფერმა, კერძო მაღაზია, რომლებიც შეიქმნება კოლეჯთან და იმუშავებს კვალიფიციური სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

სტუდენტს, რომელიც სწავლების ოთხივე წლის გადასახადს ერთდროულად გადაიხდის სწავლების დაწყების დროს, კოლეჯის დამთავრების შემდგომ წელს უკან დაუბრუნდება გადახდილი თანხის 8 პროცენტი.

კოლეჯში შემსვლელდება განცხადებას თან უნდა დაურთოს: საორგანიზაციო ხარჭებისათვის გადახდილი თანხის (25 მანეთი) კვითარი. საშუალო, სპეციალური (უმაღლესი) განათლების დოკუმენტი (დედანი), 8 ცალი ფოტოსურათი (ზომა 8X4) პასპორტის და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

კოლეჯი კისრულობს ვალდებულებას სწავლების დამთავრების შემდეგ თავის ყოფილ სტუდენტებს გაუწიოს უფასო კონსულტაციები, თუ მათ სამეურნეო საქმიანობაში წარმოექმნება ამის საჭიროება. მუნიციპალური პროფილის პედაგოგიური კადრების მომზადება დაეფუძნება ქართული და მსოფლიო მოწინავე პედაგოგიის, ისტორიულ მეცნიერებათა და ფილოლოგიის მიღწევებს. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლებას.

საბუთების მიღება სწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: გორი, ცხინვალის გზატკეცილი №9 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შენობა) ოთახი №1. გასაუბრება 8-11 ოქტომბერს, ჩარიცხვა 12-18 ოქტომბერს. სწავლა დაიწყება 14 ოქტომბერს. კოლეჯის მმართველთა საბუთი.

მადლობის სტრიქონები

ვინც კეთილად გაისარჯა

მთლიანად კეთილმოწყობისა და მოასფალტების შემდეგ მწყობრში ჩადა ზუგდიდ-ნარაზენის საავტომობილო გზა. ეს მეტად საშური საქმე ითავა ნარაზენის მეურნეობის დირექტორმა, სოფლის დეპუტატმა ბორის ლომიამ. ზუგდიდ-ნარაზენის საავტომო-

ბილო გზის მშენებლობა დააფინანსეს ნარაზენისა და ხეცურის ჩაის მეურნეობებმა, ნარაზენის, ახალსოფელ „კოლხიდის“ კოლმეურნეობებმა და ნარაზენის ჩაის ფაბრიკამ. კეთილმოწყობისა და მოასფალტების საშური საქმეს კარგად გაართვის თავი ზუგდიდის საგზაო სამმართველოს

და კოკის საგზაო კოოპერატივის კოლექტივებმა. ნარაზენელი მშრომლები მადლობას სწირავენ ყველას, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ სამშენებლო საქმის დაგვირგვინებაში. თეიმურაზ ხალაიანი. ნარაზენის საკრებულოს მდივანი.

რედაქტორი აკ. ზანტაძრია

შვილები: კარლო, ვისი, ნანული.

მიმოხა ჯანაშიები, დები: მარო, ვერა, ანტისა, გულნარია, ძმები: ვანო, აკაკი ყურაშვილები, რძლები: იზო, ნინელი, მარინა, გოგო, აგნესა, ეთერი, ვერა. სოლოკო. ცუცა, სიძეები: ნაპო ნანავა, დათიკო აკობია, მურთაზი ქარჩაია, მახლები: იპოლიტი, ვალდია ჯანაშიები, შვილიშვილები მამუკა, ინგა, პაატა, ვეა, თეა. ცოცა, პალატი ჯანაშიები, ბესიკი, კობა, თეა თოდუბე, ზვირა, ხათუნა ნანავები, მიხეილი, მათა აკობიები, შვილიშვილები: იაკობი, ირაკლი ქარჩაიები, გიორგი, ნინო, ჯანაშიები, მზახლები: მეგობარ ნათელა ანთიები, ექვია მიშვილიანი. თენია ნანავა, ძინიშვილები, დის-შვილები, მახლიშვილები, მულო-შვილები და ახლო ნათესაები იუწყებიან

მამა გურამი, მამა გურიკი, მამიდა ლამარა, ბიძები გენო ქარჩაია, რომან თირქია, ბიცოლა დოდო ჩარგაზია, ბიძაშვილები: რობენი, ირაკლი ქარჩაიები, მამიდაშვილები: მაკა, ნიკა თირქიები იუწყებიან. რომ გარდაიცვალა ტანია (ტატანა) გურამის ასული ქარჩაია. სანაშვიდი 8, 9 ოქტომბერს. ლაკრძალა 10 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდში, ჩელუსკინელების 8-დან.

მეუღლე შალვა, შვილები: გული, ზურაბი, შვილიშვილები: ქეთინო, დარეჯანი, დათო, ვეა. და ნათელა; მამა ვეა კორკელია, რძლები: ნონა ქობალია, მანანა გულუა, სიძე რობინზონ შკაგია, მზახლები: კოსტა, ფეფულო გულუები, დისშვილები: ვალია, მიმოზა, ვალერი, ლეილა ხეფეჩიანი, გონელი, მთაქობალიები, გიული, ცოცა, ეთერი ჯიქიები, ლეილაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესაები იუწყებიან

ცაცუ ვახიანის ასული ყურაშვილი-ჯანაშიას

გარდაიცვალა: პანაშვიდი 8, 9 ოქტომბერს. დაკრძალვა 10 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში, კობახიძის ქუჩა 74.

შვილი პელო ესართია, გრამიტონ კვარაცხელია, რძლები: მაყვალა მარაქველიძე, ზოია თორდია, ბაბუცა თიფია, მარო მალანია, შვილიშვილები: დათო, ბაბრი ესართიები, ვახტანგ ზვირაძე, ჯიბი ჭდაკუ, ვალია კვარაცხელიები, დისშვილები: ვეა, კორე, ლუარა შანავები, გოგუცა, მერი, ზაური ფიფები, ძმისშვილები: მარგო, იუქუნა, ჯემალი, ტოფო, ჯარნაზი ლარაცხელიები, ზაურ გულუა, მახლიშვილები: ეთერი, ზაირა. გული, ვეა ესართიები, ახლო ნათესაები იუწყებიან

შვილები: თინა, ვახტანგი, ნათელა, ლიანა კვიციანი, რძალი ვენერა ქიშპარია, და შურა გოგოტიძე, შვილიშვილები: რევაზი, ეთერი, ვახტანგი კვიციანი, დემური, მანანა უზარაშვილები, სოსო სიხარულიძე, ნანა რუსიშვილი, სიძეები: ჯემალ უზარაშვილი, ზურაბ რუსიშვილი, თორნიკე ზვიტია, ვეა ცანავა, რენე თოდუა, ტარაქო ახალია, რძლები: გული ნაჭყალია, იზო კორკელია, ნანა სამუშია, ქეთინო ზოიძე, რუსიკო ბლაგიძე, მზახალი ბიკორა ქიშპარია, ძინიშვილი ითარ რევაია, დისშვილები: ვაჩე გოგოტიძე, შვილიშვილები: ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

ფთხო დავითის ასული კვარაცხელია - ესართიას

გარდაიცვალა: პანაშვიდი 10, 11 ოქტომბერს. დაკრძალვა 12 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქ. 239-დან.

მეუღლე ნონა, შვილები: მზია, ელვუჯა, დემირი, დები: დალიკო, ლამარა, ბიძები: ნანა, ნინო ფარცვანიები, სიძეები ოთარ ლატარია, პალკო ლაგვილაძე, ელდარ სვირია, შვილიშვილები: თამარიკო, ლაშა, სალომე, მარია, დისშვილები: ლალი, მარინა, ანატოლი, გელა ლატარაიები, პაატა, ნატო, ელდარ ლაგვილაძეები, ბიცოლები: ნუცა, თამარა ფარცვანიები, დეიდაშვილი ვალიკო ლატარია, ცოლისძმები: პალიკო, რეზო, შაქრო, ცოლისდა ლიანა ნარმანიები, მზახლები: ვეა სვირია, სერიოჟა შეროზია, ნუნე წურჭუშია, ბიძაშვილები: იანური, გენო, ვალერი, ნინო, რენდოკო, თათარ, სვეტლანა ფარცვანიები ოჯახიებით, მამიდაშვილები და ახლო ნათესაები იუწყებიან

მეუღლე ნონა, შვილები: მზია, ელვუჯა, დემირი, დები: დალიკო, ლამარა, ბიძები: ნანა, ნინო ფარცვანიები, სიძეები ოთარ ლატარია, პალკო ლაგვილაძე, ელდარ სვირია, შვილიშვილები: თამარიკო, ლაშა, სალომე, მარია, დისშვილები: ლალი, მარინა, ანატოლი, გელა ლატარაიები, პაატა, ნატო, ელდარ ლაგვილაძეები, ბიცოლები: ნუცა, თამარა ფარცვანიები, დეიდაშვილი ვალიკო ლატარია, ცოლისძმები: პალიკო, რეზო, შაქრო, ცოლისდა ლიანა ნარმანიები, მზახლები: ვეა სვირია, სერიოჟა შეროზია, ნუნე წურჭუშია, ბიძაშვილები: იანური, გენო, ვალერი, ნინო, რენდოკო, თათარ, სვეტლანა ფარცვანიები ოჯახიებით, მამიდაშვილები და ახლო ნათესაები იუწყებიან

არეთა ანდრიახ ასული ლომია-ბერიშვილის

გარდაიცვალა: პანაშვიდი 8, 9 ოქტომბერს. დაკრძალვა 10 ოქტომბერს სოფ. ნარაზენში.

მეუღლე თამარა პაპასქირი, შვილები: გენო, ოთარ, თენგიზი.

დები: ლუბა, ლიდა. ძმისშვილები: ცილა, ზაური, გურამი, დისშვილები: ვილიმა, მზეინარი, ნარჯიზა, გორნელი, ალიომა. ჯემები: იძლები: ცილა, ირინე, მღერე, შვილიშვილები: ინგა, ვადიმე, დათო, ვეა, ვეა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ხეყუებიან, რომ გარდაიცვალა დავითი (დათიკო) პლატონის ძე ლოლუა.

მეუღლე თამარა პაპასქირი, შვილები: გენო, ოთარ, თენგიზი. დები: ლუბა, ლიდა. ძმისშვილები: ცილა, ზაური, გურამი, დისშვილები: ვილიმა, მზეინარი, ნარჯიზა, გორნელი, ალიომა. ჯემები: იძლები: ცილა, ირინე, მღერე, შვილიშვილები: ინგა, ვადიმე, დათო, ვეა, ვეა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ხეყუებიან, რომ გარდაიცვალა დავითი (დათიკო) პლატონის ძე ლოლუა.

მეუღლე თამარა პაპასქირი, შვილები: გენო, ოთარ, თენგიზი.

დები: ლუბა, ლიდა. ძმისშვილები: ცილა, ზაური, გურამი, დისშვილები: ვილიმა, მზეინარი, ნარჯიზა, გორნელი, ალიომა. ჯემები: იძლები: ცილა, ირინე, მღერე, შვილიშვილები: ინგა, ვადიმე, დათო, ვეა, ვეა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ხეყუებიან, რომ გარდაიცვალა დავითი (დათიკო) პლატონის ძე ლოლუა.

მეუღლე თამარა პაპასქირი, შვილები: გენო, ოთარ, თენგიზი.

დები: ლუბა, ლიდა. ძმისშვილები: ცილა, ზაური, გურამი, დისშვილები: ვილიმა, მზეინარი, ნარჯიზა, გორნელი, ალიომა. ჯემები: იძლები: ცილა, ირინე, მღერე, შვილიშვილები: ინგა, ვადიმე, დათო, ვეა, ვეა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ხეყუებიან, რომ გარდაიცვალა დავითი (დათიკო) პლატონის ძე ლოლუა.

მეუღლე თამარა პაპასქირი, შვილები: გენო, ოთარ, თენგიზი. დები: ლუბა, ლიდა. ძმისშვილები: ცილა, ზაური, გურამი, დისშვილები: ვილიმა, მზეინარი, ნარჯიზა, გორნელი, ალიომა. ჯემები: იძლები: ცილა, ირინე, მღერე, შვილიშვილები: ინგა, ვადიმე, დათო, ვეა, ვეა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ხეყუებიან, რომ გარდაიცვალა დავითი (დათიკო) პლატონის ძე ლოლუა.

მეუღლე თამარა პაპასქირი, შვილები: გენო, ოთარ, თენგიზი. დები: ლუბა, ლიდა. ძმისშვილები: ცილა, ზაური, გურამი, დისშვილები: ვილიმა, მზეინარი, ნარჯიზა, გორნელი, ალიომა. ჯემები: იძლები: ცილა, ირინე, მღერე, შვილიშვილები: ინგა, ვადიმე, დათო, ვეა, ვეა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ხეყუებიან, რომ გარდაიცვალა დავითი (დათიკო) პლატონის ძე ლოლუა.

0 5 2 5 6 0 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქციის 2-91-80, რედაქტორის მოადგილის 2-88-80, პაპუნისკაბილი მდივნის 2-81-98, სოფლისმეურნეობის განყოფილების 2-91-78, მშრომელთა სერვისის 2-25-19, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი საბჭოს დეპარტამენტის ზუგდიდის სამხ. მერაბ კოსტავას ქ. 56, 28 07, ტირაჟი 8000 ზეგ. 34507